

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა

SECTORAL AND REGIONAL ECONOMY

დასავლეთ საქართველოს აგრარული სექტორის საექსპორტო პოტენციალი

EXPORT POTENTIAL OF THE WEST GEORGIAN AGRICULTURAL SECTOR

ლელა კოჭლამაზაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

LELA KOTCHLAMAZASHVILI

PhD in Economics, Georgian Technical University,
Professor

თეიმურაზ ყანდაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

TEIMURAZ KANDASHVILI

PhD in Economics, Georgian Technical University,
Professor

ანოტაცია

მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება თვალნათლივ ადასტურებს, რომ სწორი საექსპორტო პოლიტიკის წარმოებით, საჯუთარი და უცხოური ინგესტიციების ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებში დაბანდებით, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით რეალურადაა შესაძლებელი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

საქართველოს გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, საწარმოო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალი, ასევე ბუნებრივ - კლიმატური პირობები, რომელიც უზრუნველყოფს საკმაოდ მაღალი მასშტაბებისა და დონის საექსპორტო პოტენციალს.

ნაშრომში განხილულია თხილის, სუბტროპიკული კულტურების და ლურჯი მოცვის საექსპორტო პოტენციალი, რომელიც მოთხოვნადია, როგორც მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე, ასევე ევროპის ბაზარზე.

სტატიის მიზანი მონაცემების მიხედვით სამივე პროდუქტზე ბოლო წლებში მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა გაიზარდა. სასურველია ციტრუსების წარმოების სახელმწიფო პროგრამის მსგავსად შემუშავდეს ლურჯი მოცვის წარმოების სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოყოფს სუბსიდიებს, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში ამ აგროკულტურის ექსპორტის და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, თხილ-კაკალის წარმოება, ციტრუსების კულტურა, ლურჯი მოცვის წარმოება

Abstract

The world's most developed country experience clearly shows that the export policy production, investing its national economy and foreign investments in terms of priority areas improves the competitiveness of domestic production and is realistically possible to achieve economic growth.

Georgia has a very important economic, industrial and labor-technical potential, as well as natural - climatic conditions, which ensures a high level of scale and export potential.

The paper deals with potential export of the nuts, subtropical crops and blueberries, which is demand in neighboring markets as well as in European markets.

According to statistical data of the three products in recent years, demand has increased significantly. It is desirable to develop a similar program for the citrus production and a special program for blueberries, under which the Ministry of Agriculture emissions subsidies, which will help to further the export of Agriculture and the country's economic growth.

Keywords: Agricultural Sector; Nuts, nut production, Citrus culture, Blueberries production

მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება თვალნათლივ ადასტურებს, რომ სწორი საექსპორტო პოლიტიკის წარმოებით, საკუთარი და უცხოური ინვესტიციების ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებში დაბანდებით, სამაშულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით რეალურადაა შესაძლებელი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, პროგრესი კველა სფეროში.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, საწარმოო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს საქმაოდ მაღალი მასშტაბებისა და დონის საექსპორტო პოტენციალს. სათანადო მუშაობით, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სერიოზული პროგრესის მიღწევა საექსპორტო პოლიტიკაში. მით უმეტეს, რომ მსოფლიო მასშტაბით, თითოეული ქვეყანა, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო საქმიანობის კულტურით, ადათ-წესებით. ზენობრივი ნორმებით, საქონლის წარმოებისა, გაცვლა-განაწილებისა და მოხმარების თავისებურებებით განსხვავებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო ბიზნესის სივრცეში. ამ თვალსაზრისით, უნიკალური და სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა საქართველო, რომელიც ევროპისა და აზიის გზარჯვარედინზე მდებარეობს და უმნიშვნელოვანები პოლიტიკური და ეკონომიკური დერეფნის როდს ასრულებს. ეს გარემოება საქართველოს მსოფლიო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით სახარბიელო ქვეყანად წარმოაჩენს, რომლის მოქლი პოტენციური შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული.

სახოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ზღვრული მინიმალური ტექნიკურები, რომლების შესაძლებელს ხდიან გარკეული კულტურების გავრცელებას. ასე, მაგალითად, სუბტროპიკული კულტურების (ჩაის, ციტრუსის, ტუნგის) გაშენება საქართველოში შეიძლება მხოლოდ შავი ზღვის მიმდებარებული ტერიტორიაზე, დაახლოებით 200 მ სიმაღლემდე რადგან უფრო მაღალ ადგილებში მოსალოდნელია ისეთი ყინვები, რომელთა დროსაც აღნიშნული კულტურები იღუპება.

თხილის კულტურა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებია საქართველოს სოფლის მეურნეობის-ათვის. ეს კულტურა კარგადაა ადაპტირებული ადგილობრივ ეკოლოგიურ-კლიმატურ პირობებთან. თხილის კულტურა ძირითად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სუბტროპიკულ ზონაში-სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაკეზე, ასევე გურიისა და იმერეთის რეგიონებში. ამიტომ თხილი ამ რეგიონებისათვის შემოსავლის ერთ-ერთ წარმოადგენს. მდიდარი ბუნებრივი პირობების გამო საქართველოში თხილის ჯიშების 30-მდე სახეობა გვხვდება: ანაკლიური, კულშიშველა, შევლის-

ურა, დედოფლის თითი და ა.შ..

ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში მოყვანილი თხილის ნაირსახეობები მაღალი კალორიულობით გამოირჩევა. კალორიულობის მაჩვენებელია 62-72%, რაც 7-8%-ით აღემატება თურქულ, ესპანურ, ბერძნულ და იტალიურ ნაირსახეობებს.

დღესდღეობით მსოფლიოს ბაზარზე თხილი განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნით სარგებლობს. ქართულ თხილს, მაღალი ხარისხისა და საგემოვნო თვისებების წყალობით დიდ პერსპექტივა აქვს და შესაბამისად მზარდი მოთხოვნით გამოირჩევა. საქართველოსთვის თხილი უმსხვილესი და სტრატეგიულად უწინ შენელოვანების დარღია. 2014 წლის მონაცემებით საქართველოდან თხილის ექსპორტის ჯამურმაღირებულებამ 183,4 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2015 წლს 176,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ მონაცემებით დვინის ექსპორტს გადააჭარბა და საქართველოს საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს შორის პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

მშრალი თხილისა და კაპალ-ნაყოფთა მწარმოებელთათვის და ექსპორტიორ-თათვის ევროპა ერთ-ერთი დიდი ბაზარია. ევროგაერთიანების ქვეყნებიდან ამ პროდუქტის უდიდეს წილს გერმანია (373,1 ტ.) და ნიდერლანდების სამეფო (242,1 ტ.) მოიხმარს. ამას ხელს უწყობს გამართული საგაჭრო ინფრასტრუქტურა და დიდი მოთხოვნა.

კარგი კლიმატური პირობების შემთხვევაში, საქართველოში გავრცელებული თხილის ჯიშების გამოსავლიანობა (გადამუშავების, კერძოდ კი შრობისა და ნაჟუჭის გაცლის შედეგად) დაახლოებით 7,000 ტონა თხილის გულს იძლევა. ძირითადად თხილი დასავლეთ საქართველოში იწარმოება; აქვე მუშავდება ნედლეულის დიდი ნაწილი.

საქართველოში წარმოებული და გადამუშავებული თხილის 95%-ი საექსპორტოდ გადის და წარმატებით იყიდება აღმოსავლეთ და დასავლეთ ეკოროპის ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი, გერმანია, პოლანდია, ბელგია, ესპანეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთი).

თუ წლების წინ, ქართული თხილი გადაუმუშავებლად (გაუტეხავად) იყიდებოდა, დღეს ეს პროდუქტი ძირითადად გადამუშავებული (თხილის გამომშრალი, მოხალუები, დაქუცმაცებული გული) სახით იყიდება. ამის საჭირებას საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ხოლო შესაძლებლობას ქვეყნის შიგნით განვითარებული ინდუსტრიის თხილის სიმძლავრეები ქმნის.

გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, კერძოდ, ახალგაშენებული თხილის უმცირესი ნაწილი განლაგებულია იმ ფართობებზე, სადაც ჩაის კულტურა ეკოლოგიურ იყო გაშენებული. თხილის კულტურა განსაკუთრებული იმითაც, რომ იგი არ ითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას და ნაკ-

ლებად შრომატევადია, აგრეთვე ნაკლები მოთხოვნები გააჩნია კლიმატური პირობების მიმართ.

ფაქტია, რომ საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოს ბევრმა რეგიონმა შეიცვალა პროფილი და პრიორიტეტული გახდა ის დარგები, რომელთა მიმართ მსოფლიო ბაზარზე მაღალი მოთხოვნა ჩამოყალიბდა.

საქართველოში ციტრუსოვანი კულტურები ცნობილია XII საუკუნიდან. პირველად მისი ინდუსტრია მოხდა XIX საუკუნის ბოლოს ბოლოს-XX საუკუნის დასაწყისში. ყოფილ სსრკ-ში ციტრუსოვანი კულტურების ნარგაობათა 90%-ზე მეტი მოდიოდა დასავლეთ საქართველოზე, სადაც დია გრუნტის პირობებში მოყავდათ მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფრუტი და სხვა. ციტრუსების გავრცელები-

სა და ახალი ჯიშების გამოყვანისათვის ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან ქართველი სპეციალისტები. მათ დაამუშავეს ციტრუსოვანი კულტურების ნარგაობათა მოვლა-პატრონობის და აგროტექნილური პროგრამის დონისძიებანი. მიღებული აქვთ უხემსხმოიარე და სააღრეო მანდარინის ჯიშები, ყინვაგამძლე ლიმონი “დიოსკურია”, ჭიპიანი ფორთოხალი.

აჭარაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში ციტრუსოვნები გამენდა 2012 წელს, რომლის ფართობი 21,0 ჰექტარს შეადგენს, ხოლო განაშენიანებული ფართობი 15 ჰექტარს.

სანერგე მეურნეობაში წარმოდგენილია მანდარინის 28, ფორთოხლის -16, ლიმონის - 14, პომელოს - 6, გრეიფრუტის - 3, კინკანის - 3 და

ნარინჯის 1 ჯიში.

ცხრილი 1

ციტრუსების წარმოება საქართველოში

წელი	ციტრუსი (ათ. ტონა)
2011	54,9
2012	77,0
2013	110,4
2014	76,2
2015	85,5

* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 2

ციტრუსების წარმოება სახეობების მიხედვით

ციტრუსების წარმოება (ათ.ტ) მათ შორის:	2011	2012	2013	2014	2015
მანდარინი	53,1	71,1	107,1	71,8	78,6
ფორთოხალი	0,6	3,5	1,4	1,9	3,6
ლიმონი	1,2	2,4	1,9	2,5	3,3

* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2007-2011 წლებში ციტრუსებზე არ გამოყოფილა არც ერთი თეთრი სუბსიდია მთავრობის მხრიდან, ხოლო 2013 წელს მთავრობამ ციტრუსის სუბსიდირებისათვის 12 მლნ ლარი გამოყო რაც ფერმერისთვის ექსპორტირებულ 1 კილოგრამ სტანდარტულ ციტრუსზე 15 თეთრის დამატებას გულისხმობდა. არასტანდარტული ციტრუსის სუბსიდირებისთვის კი 1,8 მილიონი ლარი გამოიყო.

2013 წლის მონაცემებით, საქართველოდან ციტრუსის ექსპორტი გაიზარდა. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2013 წელს საქართველოდან 20 187,7 ათასი დოლარის ღირებულების 37 936,7 ტონა ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა მაშინ, როდესაც 2012 წელს საქართველოდან გავიდა 7 669,8 ათასი დოლარის ღირებულების 17 129,0 ტონა.

ნა ციტრუსის ნაყოფი.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, ციტრუსის ექსპორტის მხრივ, საქართველოს ხომერ პირველი საექსპორტო ქავები უკრაინაა, სადაც 2013 წელს 9 195,0 ათასი დოლარის ღირებულების 20 607,5 ტონა ციტრუსი გაიტანეს. 2014 წელს მნიშვნელოვანი ბაზარი აღმოჩნდა ასევე რუსეთიც, სადაც 12088,4 ტონა ციტრუსი იქნა გატანილი. მაშინ როცა 2012 წელს რუსეთში სულ 19,3 ტონა ციტრუსის ექსპორტი იყო დაფიქსირებული.

2015 წელს ციტრუსის ექსპორტმა შეადგინა 13,4 მლნ. აშშ დოლარი (9%-ით და 1,3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთი (72%), უკრაინაში (14%) და აზერბაიჯანში (8%).

ბოლო 5 წლის განმავლობაში ევროკავშირში ნედლი კენკრის იმპორტი გაორმაგდა. მხოლოდ 2014 წელს არაწევრი ქვეყნებიდან იმპორტმა დაახლოებით 400 მილიონ ევროს მიაღწია, აქედან

72% განვითარებადი ქავების პროდუქციამ დაიკავა. მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, რასაც ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს. მაისის ბოლო-ივლისის შეურიცხვები ის პერიოდია, როდესაც ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ საკუთარი პროდუქტი ევროპელ მომხმარებლებს შესთავაზონ - ამ დროს ევროპაში კენგროვანი კულტურების კრეფის სეზონი ჯერ არ არის დაწეებული და ფასიც შესაბამისად მაღალია.

ამერიკული ლურჯი მოცვი, რომელიც გურიაშია და აჭარის მაღალმთიანეთის კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა, უნიკალური თვისებების გამო მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. საქართველოში მოყვანილი 12 ტონა ლურჯი მოცვი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე წელს პირველად შევიდა. ამჟამად მისი ექსპორტი რუსეთშიც ხორციელდება. თუ რუსეთში 1 კგ ლურჯი მოცვი 3,5 ევრო დირს, ევროკავშირის ბაზარზე მისი ფასი 4-დან 10 ევრომდე მერყეობს.

კომპანია „Vanrik Agro Group“-მა ლურჯი მოცველის გაშენება ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაიოურში 2012 წლის ბოლოს დაიწყო. პროექტში 5 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. ლურჯი მოცველის პლანტაცია ამჟამად 50 ჰექტარზეა გაშენებული. კომპანიის მენეჯმენტი უახლოეს მომავალში მეურნეობის 400 ჰა-მდე გაფართოებას აპირებს.

ქართველი ფერმერები დურჯი მოცვის მოყვანით USAID-ის კვლევის გაცნობის შემდეგ დაინტენდება.

ესდნენ. პირველ ეტაპზე 147 ათასი ხერგი დაირგო. გაშენებულია 16 ჯიშის მოცვი და მოსავალი იქრიფება 15 აგვისტომდე. ყველა ჯიში სხვადასხვა დროს იძლევა ნაცოფს. როგორც „Vanrik Agro Group“-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვი განსაკუთრებული გემოთი გამოიჩევა და ევროპის ბაზარზეც დიდი მოწონებით სარგებლობს. 12 ტონა ლურჯი მოცვი ბრიტანეთის ბაზარზე იქნა შეტანილი, ხოლო რუსეთის ბაზარზე 25 ტონა. „Vanrik Agro Group“-ი ლურჯ მოცვე 200-გრამიან და 4-კილოგრამიან პაკეტებში აფასოებს. ქართულ მიწაზე აღამტირებული ამერიკული კენკრა აღგილობრივ ბაზარზეც იყიდება. საქართველოში 1კგ ლურჯი მოცვის ფასი 3-დან 9 ლარამდე მერყეობს. „Vanrik Agro Group“-ი ლურჯი მოცვის გადამამუშავებელ საწარმოს აშენებასაც გეგმავს. გადამამუშავებელი საზის მოწყობა უკვე დაწყებულია. მსოფლიოში ლურჯ მოცვები მოთხოვთ ურველწლიურად იზრდება და მისი მოყვანა მომგებიანია. 2016 წლიდან „Vanrik Agro Group“-ი დაახლოებით 50 ტონამდე მოსავალს ელოდება. პროდუქცია ექსპორტზე ძირითადად ევროკავშირში გავა. ამ მიზნით პოლონერ კომპანიასთან მემორანდუმი უკვე გაფორმდა - საქართველოში მოყვანილი ლურჯი მოცვის ევროპის ქვეყნებში შეტანაზე სწორედ ეს პოლონერი კომპანია იზრუნებს.

ლიტერატურა/REFERENCES:

- 1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
2 ლ. კოჭლაძაზვილი, თ. განდაშვილი „Txilis ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. 2015წ. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიღდეს ვნილი საერთაშორისო სამცცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „erovnuli ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. ურნალი „Cveni სოფელი“
<http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/>
<http://eugeorgia.info/ka/>